დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - ბექარ კილასონია

წევრები:

დარგის ექსპერტი (წევრი) ,,გრაფიკული დიზაინი"- ლელა მაისურაძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 235444104

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის №1197448 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 28 სექტემბერს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში (მისამართი: მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალხინო). ადმინისტრაციული წარმოების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსის და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის 4.1. პერსონალის და პროცესების მართვის მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ ფარგლებში.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე და ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი, მათ შორის პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, ადაპტირებული მოდულები, ინტეგრირებული, ზოგადი და დარგობრივი მოდულები, ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლებისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმები, ასევე პროგრამის ბიუჯეტი და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ ფარგლებში ადგილზე დათვალიერდა პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები, ასევე პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო და ფინანსური რესურსები. 4.1 კომპონენტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმები და არსებული პრაქტიკა. დამატებით შესწავლილ იქნა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პერსონალის მოზიდვისა და შერჩევა/დანიშვნის პროცედურები, სამუშაო აღწერილობები, პერსონალის პირადი საქმეები, შრომითი ხელშეკრულებები და შინაგანაწესი.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გასაუბრებები ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა შეფასების პროცესი და დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო მონიტორინგის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
გრაფიკული დიზაინი	20	20	0	0

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის მე-4 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4) ადამიანური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
გრაფიკული დიზაინი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

დაწესებულებაში პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობის ორგანიზება ეფუძნება განსაზღვრულ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და შესაბამისი პერსონალისათვის დადგენილ ფუნქცია-მოვალეობებს. წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურის შესწავლით იკვეთება პროფესიული განათლების განხორციელებაში ჩართული ფუნქციური მიმართულებები და შესაბამის პასუხისმგებელ პირთა როლები, რაც შესაძლებელს ხდის პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ადმინისტრირების, პროგრამის ხელმძღვანელობის, ხარისხის უზრუნველყოფის, რესურსების მართვისა და უშუალოდ სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების იდენტიფიცირებას.

პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის ფუნქციები და მათთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამატებით კონკრეტდება სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-54 ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრულია შესაბამისი პოზიციების დანიშნულება, პასუხისმგებლობის სფეროები და შესასრულებელი საქმიანობის შინაარსი, რაც უზრუნველყოფს თითოეული პირის ფუნქციური როლის მკაფიო გამიჯვნას პროფესიული განათლების პროცესში.

ფუნქციების განსაზღვრა ასახულია შრომითი ურთიერთობის დოკუმენტებშიც. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი ხელშეკრულებები მოიცავს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დეტალურ აღწერას და განსაზღვრავს როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს, ასევე პროგრამის განხორციელებაში, შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და კონსულტირებაში, პროგრამისა და მოდულების შემუშავებაში, სასწავლო პროცესის კოორდინაციასა და სხვა თანამშრომლებთან ურთიერთქმედებაში მონაწილეობის საკითხებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს პერსონალის მიერ მათთვის განსაზღვრული ფუნქციებისა და სამუშაო პირობების გაცნობაც. შრომითი ხელშეკრულებით შესაბამისი სამსახურებრივი ინსტრუქცია ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილადაა განსაზღვრული, ხოლო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, რომ მის გაფორმებამდე გაეცნო სამსახურებრივ ინსტრუქციას, შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, დაწესებულების შინაგანაწესსა და მის მიერ განსახორციელებელ მოდულს/მოდულებს. ამდენად, ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა დასტურდება არა მხოლოდ მათი დოკუმენტურად არსებობით, არამედ დასაქმებულის მიერ ხელმოწერილი შრომითი ურთიერთობის დოკუმენტითაც.

დოკუმენტური მტკიცებულებები შეივსო პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგებით. თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, აქვთ ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის ფარგლების შესახებ და პრაქტიკაში ხელმძღვანელობენ შესაბამისი სამუშაო აღწერილობებითა და შრომითი ურთიერთობის პირობებით. გასაუბრების შედეგები თანხვედრაში იყო შესწავლილ დოკუმენტაციასთან, რაც ადასტურებს, რომ ფუნქციების განსაზღვრა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს არ ატარებს და პერსონალისთვის პრაქტიკულადაც ნათელია მათი როლი პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში.

შესწავლილი ორგანიზაციული სტრუქტურის, სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შრომითი ხელშეკრულებებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგების ერთობლიობა ადასტურებს, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობაში ჩართული პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობის სფეროები მკაფიოდ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული, ხოლო შესაბამისი პერსონალი აღნიშნულ ფუნქციებს გაცნობილია დოკუმენტურად დადასტურებული ფორმით.

ინდიკატორი 4.1.1.1 შესაბამისობაშია

2.დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობის ორგანიზებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი ფუნქციური მიმართულებები და პასუხისმგებელი პირები. ორგანიზაციული სტრუქტურის, სამუშაო აღწერილობებისა და შრომითი ურთიერთობის დოკუმენტების შესწავლით იკვეთება, რომ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციები განაწილებულია პროგრამის ადმინისტრირების, ხარისხის უზრუნველყოფის, რესურსებით უზრუნველყოფის, პროგრამის ხელმძღვანელობისა და უშუალოდ სასწავლო პროცესის განხორციელების მიმართულებებს შორის. აღნიშნული ფუნქციები არ არის კონცენტრირებული ერთ პირზე და თითოეული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებლობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები დაკავშირებულია პროგრამის შინაარსობრივ მართვასთან, სასწავლო პროცესის კოორდინაციასა და პროგრამის განხორციელების ორგანიზებასთან. პროფესიული განათლების მასწავლებლები პასუხისმგებელი არიან შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაზე, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და სასწავლო პროცესის უშუალო წარმართვაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულება ორიენტირებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროცესების მონიტორინგზე, შეფასებასა და გაუმჯობესების ხელშეწყობაზე, ხოლო რესურსებთან დაკავშირებული ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის. ფუნქციათა ამგვარი განაწილება ქმნის შესაძლებლობას, პროგრამის სხვადასხვა მიმართულება განხორციელდეს როგორც ერთმანეთისგან ფუნქციურად გამიჯნულად, ისე ურთიერთშეთანხმებული და კოორდინირებული ფორმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ თანამშრომლების შრომითი ურთიერთობის დოკუმენტებსაც, რომლებიც სკოლაში დაკავებულ ძირითად თანამდებობასთან ერთად პროფესიული განათლების მიმართულებით დამატებით ფუნქციებს ასრულებენ. შესწავლილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ დამატებითი შეთანხმებები გაფორმებულია პროფესიული განათლების კოორდინატორთან, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და პროფესიული განათლების შესყიდვების კოორდინატორთან. აღნიშნულ შეთანხმებებში ასახულია პროფესიული განათლების მიმართულებით მათზე დაკისრებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უშუალო განმახორციელებლებთან კი გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. ამგვარად, პროფესიული განათლების მიმართულებით დაკისრებული მოვალეობები არა მხოლოდ ორგანიზაციულად არის განაწილებული, არამედ შესაბამისი შრომითი ურთიერთობის დოკუმენტებითაც არის ფორმალიზებული.

დოკუმენტური მასალის შესწავლა შეივსო პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრებებით. ინტერვიუების დროს შესაძლებელი გახდა თითოეული ფუნქციური მიმართულების პრაქტიკული როლისა და პასუხისმგებლობის გადამოწმება. თანამშრომლებმა განმარტეს მათზე დაკისრებული მოვალეობები და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში სხვა პასუხისმგებელ პირებთან თანამშრომლობის ფორმები. მიღებული ინფორმაცია თანხვედრაში იყო ორგანიზაციულ სტრუქტურაში, სამუშაო აღწერილობებსა და შრომითი ურთიერთობის დოკუმენტებში განსაზღვრულ ფუნქციებთან, რაც ადასტურებს, რომ პასუხისმგებლობების განაწილება მხოლოდ ფორმალურ დონეზე არ არის განსაზღვრული და პრაქტიკაშიც მოქმედებს.

შესწავლილი გარემოებების ერთობლივი შეფასებით იკვეთება, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით პასუხისმგებლობები გადანაწილებულია საქმიანობის შინაარსისა და შესაბამისი კომპეტენციების მიხედვით. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრირება, ხარისხის უზრუნველყოფა, რესურსებით უზრუნველყოფა, პროგრამის ხელმძღვანელობა და სასწავლო პროცესის განხორციელება დაკავშირებულია კონკრეტულ ფუნქციურ მიმართულებებთან და პასუხისმგებელ პირებთან, რაც ხელს უწყობს საქმიანობის უწყვეტობას, სხვადასხვა პროცესის კოორდინაციასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ორგანიზებულ განხორციელებას.

ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია

3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურაში დამოუკიდებელ ფუნქციურ მიმართულებად არის გამოყოფილი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობის სფერო განსაზღვრულია პროფესიული განათლების მიმართულებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებითა და შესაბამისი შრომითი ურთიერთობის დოკუმენტებით. აღნიშნული ფუნქციის ძირითადი დანიშნულებაა პროფესიული საგანმანათლებლო პროცესების მონიტორინგი და შეფასება, მიღებული ინფორმაციის ანალიზი და პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა არა მხოლოდ პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად არის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა გამიჯნული იმ პროცესების უშუალო განხორციელებისგან, რომელთა შეფასება და მონიტორინგიც აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. დაწესებულებაში პროგრამის ხელმძღვანელობა, პროფესიული მოდულების განხორციელება, სწავლება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება სხვა შესაბამის პასუხისმგებელ პირებს ეკისრებათ, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია დაკავშირებულია აღნიშნული პროცესების შეფასებასთან, მონიტორინგთან და გაუმჯობესების მხარდაჭერასთან. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არ ახორციელებს იმავე საქმიანობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლის ობიექტური შეფასებაც მის ფუნქციას წარმოადგენს.

ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის საკითხი განხილული იქნა დაწესებულების დაგეგმვისა და მონიტორინგის სისტემის კონტექსტშიც. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მიმართულებით ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლებიც ქმნის დაწესებულების საქმიანობის დაგეგმვის, შესრულების მონიტორინგისა და მიღებული შედეგების შეფასების ორგანიზაციულ საფუძველს. აღნიშნული დოკუმენტები ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობას უკავშირებს პროცესების შეფასებისა და გაუმჯობესების ფუნქციას და უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის სისტემურ ჩარჩოს.

მონიტორინგის ფარგლებში საკითხი შეფასდა პრაქტიკული ფუნქციონირების ჭრილშიც. პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრებით გადამოწმდა ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის რეალური შინაარსი, მისი ურთიერთმიმართება პროგრამის ადმინისტრირებასთან და სასწავლო პროცესის უშუალო განხორციელებასთან. მიღებული ინფორმაციით დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობა მიმართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროცესების შეფასების, მონიტორინგისა და გაუმჯობესებისკენ და იგი არ ახორციელებს იმ ფუნქციებს, რომელთა შეფასებაც თავადვე უნდა მოახდინოს. ამდენად, დოკუმენტურად განსაზღვრული ფუნქციები და მათი პრაქტიკული განხორციელება ერთმანეთთან შესაბამისობაშია და არ ქმნის საკუთარი საქმიანობის თვითშეფასების ან ურთიერთშეუთავსებელი ფუნქციების ერთ პირში თავმოყრის გარემოებას.

აღსანიშნავია, რომ ინტერესთა კონფლიქტის საკითხი შეფასებული იყო 2025 წლის ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებშიც და აღნიშნულ პოზიციასთან მიმართებით ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი გარემოება იმ ეტაპზეც არ გამოვლენილა. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში ორგანიზაციული სტრუქტურის, სამუშაო აღწერილობების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შრომითი ურთიერთობის დოკუმენტების, დაგეგმვისა და მონიტორინგის მექანიზმებისა და ფაქტობრივი პრაქტიკის ერთობლივმა შეფასებამ დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის არსებული ორგანიზება კვლავ უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამოუკიდებლობას და არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს.

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა;
- პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები - დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-54 ბრძანებით;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-50 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქციების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ თანამშრომლებთან გაფორმებულ დამატებითი შეთანხმებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“;
- დაწესებულების შინაგანაწესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ და პროგრამის ადამიანური რესურსის შესაბამისი დანართი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განმახორციელებელ პირთა ჩამონათვალი;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

პერსონალის მართვის საკითხები დაწესებულებაში რეგულირდება როგორც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, ისე დასაქმებულებთან გაფორმებული ინდივიდუალური სამართლებრივი ურთიერთობებით. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომლითაც განსაზღვრულია პერსონალის მართვის ძირითადი პრინციპები, კადრების შერჩევისა და მოზიდვის დაგეგმვა, ახალი თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაცია, პერსონალის შეფასება, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და წახალისების საკითხები. აღნიშნული დოკუმენტი პერსონალის მართვას განიხილავს როგორც უწყვეტ პროცესს და ადგენს იმ ძირითად მექანიზმებს, რომლითაც სკოლა ახორციელებს ადამიანური რესურსის მართვას.

პერსონალის შრომითი ურთიერთობების ორგანიზების მნიშვნელოვანი საფუძველია ასევე დაწესებულებაში მოქმედი შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს დასაქმებულთა საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ადგენს სამუშაო ურთიერთობის ფარგლებში შესასრულებელ ძირითად პირობებს. ჯერ კიდევ 2025 წლის ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოებისას დადასტურებული იყო, რომ სკოლაში მოქმედებდა შინაგანაწესი, რომელიც მოიცავდა დასაქმებულთა მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც შესაბამისი.

მიმდინარე მონიტორინგის დროს ყურადღება გამახვილდა არა მხოლოდ შესაბამისი შიდა დოკუმენტების არსებობაზე, არამედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათი პრაქტიკაში გამოყენებაზეც. შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და სკოლის იმ თანამშრომლებთან გაფორმებული დამატებითი შეთანხმებები, რომლებიც ძირითად თანამდებობასთან ერთად პროფესიული განათლების მიმართულებითაც ასრულებენ დამატებით ფუნქციებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შესაძლებელი იყო თითოეული თანამშრომლის ფუნქციის, შრომითი ურთიერთობის საფუძვლისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის იდენტიფიცირება.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში შესაბამისი დამატებითი შეთანხმებები, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში მათზე დაკისრებული ფუნქციების ფორმალიზებას. პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ასევე შესაძლებელი გახდა დასაქმებასთან დაკავშირებული დოკუმენტების, კვალიფიკაციისა და თანამდებობრივ ფუნქციებთან შესაბამისობის გადამოწმება.

ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან და პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ თანამშრომლებისთვის ცნობილია მათზე დაკისრებული ფუნქციები და შრომითი ურთიერთობის პირობები, ხოლო პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესები ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად. შესწავლილი მასალებით არ გამოვლენილა გარემოება, რომელიც მიუთითებდა პერსონალის მართვის არსებული პრაქტიკის წინააღმდეგობაზე დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან. ამასთან, მონიტორინგის ფარგლებში პერსონალის შრომითი ურთიერთობის დოკუმენტაციის, პირადი საქმეებისა და მოქმედი შინაგანაწესის განხილვის შედეგად არ გამოვლენილა ისეთი გარემოება, რომელიც ინდიკატორის მოთხოვნებთან შეუსაბამობაზე მიუთითებდა.

ამდენად, პერსონალის მართვისთვის დაწესებულებაში შექმნილია შესაბამისი შიდა მარეგულირებელი საფუძველი, პერსონალთან შრომითი ურთიერთობები დოკუმენტურად არის გაფორმებული, ხოლო დადგენილი წესების პრაქტიკაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენება დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე პასუხისმგებელ პირებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგებით.

ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის საკითხები მოწესრიგებულია „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკით“, რომელიც პერსონალის მოზიდვასა და შერჩევას განიხილავს წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნებისა და თანაბარი მიდგომის საფუძველზე. დოკუმენტით გათვალისწინებულია ისეთი კადრის შერჩევა, რომლის განათლება, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენცია შეესაბამება შესაბამისი პოზიციისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამავე პოლიტიკით პერსონალის შერჩევის პროცესში დეკლარირებულია ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-54 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია შესაბამისი პოზიციების ფუნქციებთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას პერსონალის შერჩევისას კანდიდატის მონაცემები შეაფასოს არა ზოგადი, არამედ კონკრეტული პოზიციის საჭიროებებიდან გამომდინარე.

მონიტორინგის დროს აღნიშნული საკითხი შეფასდა უკვე მოქმედი პრაქტიკის ჭრილშიც. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართული სხვა პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის განათლებისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. მათი მონაცემების შესაბამის პოზიციებზე განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეჯერებით დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები შერჩეული არიან შესაბამისი ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო კომპეტენციის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის გარემოებაც, რომ პროგრამის ადამიანური რესურსის საჭიროებიდან გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ განაახლა განმახორციელებელ პირთა შემადგენლობა. მათი პირადი საქმეებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვა მნიშვნელოვანი იყო იმის დასადგენად, რომ პერსონალის რაოდენობრივი შევსება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს არ ატარებდა და პროგრამაში ჩართულ პირებს გააჩნდათ მათთვის განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი მონაცემები. პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის არსებული პრაქტიკის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგებიც. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა დოკუმენტურად განსაზღვრული წესების პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმება. შესწავლილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით არ გამოვლენილა გარემოება, რომელიც მიუთითებდა პერსონალის შერჩევისას დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების უგულებელყოფაზე ან ისეთი პრაქტიკის არსებობაზე, რომელიც წინააღმდეგობაში იქნებოდა ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებთან.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მათი განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და სხვა შესაბამისი მონაცემების შესაბამისობა იმ ფუნქციებთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომლებიც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი პოზიციებისთვის.

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მათზე დაკისრებულ ფუნქციებთან და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. დოკუმენტური მონაცემები გადამოწმდა პასუხისმგებელ პირებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან გასაუბრების გზითაც. გასაუბრებისას მიღებული ინფორმაცია შესაბამისობაში იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირად საქმეებში დაცულ მონაცემებთან და დაკისრებული ფუნქციების შინაარსთან. მონიტორინგის ფარგლებში არ გამოვლენილა შემთხვევა, როდესაც პირის კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებდა მის მიერ დაკავებული პოზიციისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შესაბამისად, მონიტორინგის შედეგებით დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი თანამშრომლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება მათზე დაკისრებულ ფუნქციებსა და დაკავებულ პოზიციებს.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულებაში მოქმედი „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ პერსონალის მართვის მნიშვნელოვან საფუძვლად თანამშრომელთა ჩართულობას, ურთიერთთანამშრომლობასა და გუნდური მუშაობის პრინციპებს განსაზღვრავს. აღნიშნული მიდგომა ასახულია შრომითი ურთიერთობის დოკუმენტებშიც. პროფესიული განათლების მიმართულებით გაფორმებული ხელშეკრულებებით პერსონალს, შესაბამისი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, ევალება დაწესებულებაში შექმნილი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობა, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში ჩართულობა. ამდენად, თანამშრომელთა მონაწილეობა საერთო პროცესებში დაწესებულებაში მხოლოდ დეკლარირებულ პრინციპს არ წარმოადგენს და შრომითი ურთიერთობის დონეზეც არის განსაზღვრული.

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციითა და არსებული პრაქტიკით დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. ერთ-ერთ ასეთ პრაქტიკას წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა მიღებისა და შერჩევის პროცესი. აპლიკანტთა შერჩევის მიზნით დაწესებულებაში დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით შექმნილია შესარჩევი კომისია, ხოლო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობა და მიღებული გადაწყვეტილებები შესაბამისი სხდომის ოქმით დასტურდება. აღნიშნული აჩვენებს, რომ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ მიიღება ინდივიდუალურად და შესაბამის პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა ფუნქციის მქონე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც საკითხებს კოლეგიურად განიხილავენ და გადაწყვეტილებებს საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში ერთობლივად იღებენ.

გუნდური მუშაობის პრაქტიკა განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას. პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კალენდარული გეგმებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში. აღნიშნული თანამშრომლობა გულისხმობს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, სასწავლო აქტივობების თანმიმდევრობის, შეფასების მიდგომებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და შეჯერებას. პროგრამის განხორციელების პროცესში პასუხისმგებელი პირები პერიოდულად იკრიბებიან მიმდინარე საკითხების განსახილველად, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას, სამუშაო საკითხების შეთანხმებასა და სასწავლო პროცესის კოორდინირებულ წარმართვას.

პროფესიული განათლების მიმართულებით თანამშრომლობის კიდევ ერთ პრაქტიკულ ფორმას წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სხვადასხვა ფუნქციის მქონე პერსონალის ურთიერთქმედება. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სასწავლო პროცესის მონიტორინგი, მათ შორის მეცადინეობებზე დაკვირვება და სწავლების პროცესის შეფასება. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა რეალურად არის დაკავშირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობასთან და ხორციელდება განმახორციელებელ პერსონალთან პროფესიულ ურთიერთქმედებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დამატებით დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ადმინისტრირებასა და რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ცვლიან პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციას და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ საერთო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში. ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია თანხვედრაში იყო შესწავლილ დოკუმენტაციასა და დაწესებულებაში არსებულ პრაქტიკასთან.

ამრიგად, დაწესებულებაში მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები დასტურდება როგორც პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტებითა და შრომითი ურთიერთობის პირობებით, ისე მათი პრაქტიკული განხორციელებით. აპლიკანტთა შერჩევის პროცესში კომისიური მუშაობა და შესაბამისი გადაწყვეტილებების ოქმით დადასტურება, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ერთობლივი მუშაობა კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას, მიმდინარე საკითხებზე პერიოდული სამუშაო შეხვედრები, ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგი და პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები ერთობლიობაში ადასტურებს, რომ დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომელთა ჩართულობას, პასუხისმგებლობების გაზიარებას, ინფორმაციის გაცვლასა და შეთანხმებულ გუნდურ მუშაობას.

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
- დაწესებულების შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები - დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-54 ბრძანებით;
- აპლიკანტთა შერჩევის პროცესის ორგანიზების მიზნით, სკოლის დირექტორის №2-57 ბრძანებით სექმნილი აპლიკანტთა შესარჩევი კომისია;
- აპლიკანტთა შესარჩევი კომისიის №1 ოქმი;
- პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული/ჩართული პერსონალის პირადი საქმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის ადმინისტრაციულ თანამშრომლებთან გაფორმებული დამატებითი შეთანხმებები, პროფესიული განათლების მიმართულებით დაკისრებულ ფუნქციებთან დაკავშირებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინი“ და ადამიანური რესურსის დანართი №28;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი.
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში; Secondary vocational qualification in graphic design
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მარტვილის მუნიციპალიტეტი სოფელი სალხინო
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	20
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	20
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2025 წლის ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოებისას დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებისთვის გამოყოფილი ჰქონდა შესაბამისი სასწავლო სივრცე. პროგრამისთვის განკუთვნილი სასწავლო ფართი გათვალისწინებული იყო პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ - განხორციელებისთვის განსაზღვრული აუდიტორია საერთო სარგებლობის იყო სკოლის მოსწავლეებთან. დაწესებულებას სასწავლო პროცესის ორგანიზება დაგეგმილი ჰქონდა იმგვარად, რომ სივრცის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთობლივ გამოყენებას ხელი არ შეეშალა არც ზოგადსაგანმანათლებლო და არც პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის.

2026 წლის მონიტორინგისას აქცენტი გაკეთდა უკვე არა სამომავლოდ დაგეგმილ რესურსზე, არამედ იმ მატერიალურ ბაზაზე, რომელიც პროგრამის რეალური განხორციელებისთვის ფაქტობრივად იყო მობილიზებული. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემო და არსებული მატერიალური რესურსი. მისი შეფასება განხორციელდა პროგრამის მოთხოვნებთან და პროგრამის დანართ №27-ით განსაზღვრულ მატერიალურ რესურსთან მიმართებით. მოქმედი პროგრამის დოკუმენტაციაში მატერიალური რესურსი სწორედ ცალკე დანართის სახითაა განსაზღვრული. ადგილზე არსებული სასწავლო სივრცისა და მატერიალური რესურსის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა არა მხოლოდ მისი არსებობა, არამედ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობაც 20 პროფესიულ სტუდენტზე. ადგილზე დათვალიერებული მატერიალური რესურსისა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების ურთიერთშეჯერებით დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი მობილიზებულია და თავისი დანიშნულებით, რაოდენობრივი და ფუნქციური შესაძლებლობებით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, 2025 წლის შეფასებისას იდენტიფიცირებული საჭიროება - მატერიალური რესურსის სრულად მობილიზებულია.

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

2025 წლის ავტორიზაციის ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორის მიმართ ძირითადი საკითხი დაკავშირებული იყო არა ინტეგრირებული და ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან, არამედ დარგობრივი მოდულების განხორციელების მდგრადობასთან. იმ დროისთვის სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების დატვირთვა იძლეოდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას, ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად შეუფერხებლად განეხორციელებინათ პროგრამის ზოგადი და ინტეგრირებული მოდულები. თუმცა დარგობრივი მოდულების ნაწილში პროგრამის ადამიანური რესურსის დანართით განსაზღვრული განმახორციელებლების რაოდენობა და კვალიფიკაცია სრულად ვერ უზრუნველყოფდა პროგრამის მდგრად განხორციელებას. მონიტორინგის დროისთვის პროგრამის განმახორციელებელთა შემადგენლობა უკვე შევსებული იყო დამატებითი ადამიანური რესურსით დანართ №28.

ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგისას შეისწავლა პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემადგენლობა, მათი პირადი საქმეები, შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტები და სამუშაო დატვირთვა. ცალკე იქნა განხილული ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების, ასევე პროფესიული/დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. ასეთი შეფასება მნიშვნელოვანი იყო იმის დასადგენად, რომ პროგრამის მდგრადობა არ ეფუძნებოდა მხოლოდ განმახორციელებელთა ფორმალურ ჩამონათვალს, არამედ მათი რაოდენობა და არსებული დატვირთვა რეალურად იძლეოდა სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის შესაძლებლობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასებით დადასტურდა, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი რაოდენობის განმახორციელებლები როგორც ინტეგრირებული და ზოგადი, ისე დარგობრივი მოდულებისთვის. ინტეგრირებული - 8, ზოგადი - 2, დარგობრივი - 6 სულ 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათი დატვირთვის განხილვამ არ გამოავლინა ისეთი გარემოება, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა სასწავლო პროცესის უწყვეტობას ან პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელებას. ამასთან, განმახორციელებელთა შემადგენლობის შევსებამ აღმოფხვრა სწორედ ის რისკი, რომელიც 2025 წლის ავტორიზაციის დროს პროგრამის მდგრადობასთან მიმართებით იყო იდენტიფიცირებული. შესაბამისად, მონიტორინგის ეტაპზე არსებული ადამიანური რესურსის რაოდენობრივი შემადგენლობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ უწყვეტ და მდგრად განხორციელებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამის ადამიანური რესურსის დანართ №28-ში თითოეული განმახორციელებელი დაკავშირებულია შესაბამის მოდულთან, ხოლო მათი კომპეტენციის დასადასტურებლად მითითებულია შესაბამის სფეროში მიღებული განათლება, სამუშაო გამოცდილება და პირად საქმეში დაცული შესაბამისი მტკიცებულებები. დანართში ცალკე არის წარმოდგენილი როგორც ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების, ისე დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და მათში დაცული განათლების, კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შეფასება განხორციელდა არა განცალკევებულად, არამედ იმ მოდულებთან მიმართებით, რომელთა განხორციელებაც კონკრეტულ პირს აქვს განსაზღვრული. ამგვარი მიდგომით შესაძლებელი გახდა განმახორციელებელთა პროფესიული მომზადებისა და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობის შეფასება. დოკუმენტაციის განხილვისას დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გარდა, გავლილი აქვთ პროფესიული განათლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით შესაბამისი ტრენინგები, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში დაცული შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტებით. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, ვინაიდან პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია მოიცავს არა მხოლოდ სასწავლო მასალის გადაცემას, არამედ პროფესიული სტუდენტის მიერ კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფასა და მიღწეული შედეგის სათანადო შეფასებას. მონიტორინგის ეტაპზე კი შესაბამისი ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობა ცხადყოფს, რომ დაწესებულებამ 2025 წლის შეფასებისას განსაზღვრული ღონისძიება პრაქტიკულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახორციელა. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლებელი გახადა მათი ცოდნისა და გამოცდილების შეფასება სწავლების ორგანიზების, მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებთან მიმართებით.

პირადი საქმეების, დარგობრივი კვალიფიკაციის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით გავლილი ტრენინგებისა და გასაუბრების შედეგების ერთობლივი შეფასებით დადასტურდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

პროგრამის ხელმძღვანელის როლი „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული კოორდინაციით. პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად, ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული სასწავლო პროცესშიც და ახორციელებს პროგრამის პროფესიულ მოდულს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი მართვისა და მისი პრაქტიკული განხორციელების ურთიერთკავშირს. მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, პროგრამის ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაცია და მისი ჩართულობა პროფესიული მოდულის განხორციელებაში. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია გრაფიკული დიზაინის მიმართულებასთან შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და პროფესიული გამოცდილება, რაც საშუალებას აძლევს მას მონაწილეობა მიიღოს როგორც პროგრამის შინაარსობრივ მართვაში, ისე შესაბამისი პროფესიული მოდულის განხორციელებაში. ჩატარებულმა გასაუბრებამ დამატებით მისცა ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა შეეფასებინა მისი ცოდნა პროგრამის სტრუქტურის, პროფესიული მოდულების, სწავლის შედეგების, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის ორგანიზებისა და პროგრამის განხორციელების პრაქტიკული საკითხების შესახებ. გასაუბრების შედეგები შესაბამისობაში იყო პირად საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მისთვის განსაზღვრულ ფუნქციებთან.

შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების ერთობლივი შეფასებით დადასტურდა, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად მონაწილეობს პროგრამის პროფესიული მოდულის განხორციელებაში და მისი პროფესიული მომზადება შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ პროგრამის შემადგენელ ნაწილად განსაზღვრავს სასწავლო რესურსებს, რომელთა ჩამონათვალი წარმოდგენილია დანართ №26-ში. მონიტორინგის ვიზიტისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არა მხოლოდ პროგრამაში რესურსების ჩამონათვალის ფორმალურ არსებობას, არამედ მათ ფაქტობრივ ხელმისაწვდომობასაც. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ პროგრამისთვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები და მათი გამოყენების შესაძლებლობა სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, პროგრამით გათვალისწინებული რესურსები პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ფორმით ელექტრონულად ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. მონიტორინგის ეტაპზე შეფასებისას უკვე დადასტურდა, რომ პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი მობილიზებულია და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მონაწილეთათვის. რესურსების შინაარსი და ხელმისაწვდომობის ფორმა იძლევა შესაძლებლობას, ისინი გამოყენებულ იქნეს მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

ამდენად, 2025 წელს საგანმანათლებლო რესურსის მობილიზებასთან დაკავშირებული საკითხი მონიტორინგის ეტაპზე მოწესრიგებულია: პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განმახორციელებლებისთვის და მათი გამოყენება შესაძლებელია სასწავლო პროცესში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6 . სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმი დაწესებულებას ფორმალურად აქვს განსაზღვრული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-48 ბრძანებით. დებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო რესურსზე ზოგადი ხელმისაწვდომობის დეკლარირებით და ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან მისი მდგომარეობიდან გამომდინარე საჭირო ხდება განსხვავებული სასწავლო მიდგომის გამოყენება.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შეიძლება დადგეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობისას, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური გარემოების შემთხვევაში, მობილობის დროს, აგრეთვე სხვა ვითარებაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვა ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. ამ პროცესში გათვალისწინებულია თავად პროფესიული სტუდენტის ჩართულობაც. ინდიკატორის მოთხოვნასთან მიმართებით არსებითია ისიც, რომ დებულებით გათვალისწინებულია არა მხოლოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, არამედ სასწავლო რესურსების შესაბამის საჭიროებებზე მორგება და მათზე წვდომის უზრუნველყოფა. შესაბამისად, თუ პროფესიულ სტუდენტს სჭირდება პროგრამით განსაზღვრული რესურსის განსხვავებული ფორმით მიწოდება ან ადაპტირებული სასწავლო მასალის გამოყენება, დაწესებულებას აღნიშნულის განხორციელების ნორმატიული საფუძველი გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის ფარგლებში საკითხი შეფასდა მოქმედი დებულებისა და დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის კონტექსტში. წარმოდგენილი მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განისაზღვროს როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმა, ისე გამოსაყენებელი რესურსის ადაპტირების საჭიროება. ამასთან, დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებიც.

ამდენად, დაწესებულებას გააჩნია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების მექანიზმი.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ისეთი ფინანსური დაგეგმვა, რომელიც პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული მიმდინარე და აუცილებელი ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას იძლევა. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები.

წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზისას შეფასდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ხარჯების დაფარვის შესაძლებლობა და ის გარემოება, თუ რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულების ფინანსური რესურსი სასწავლო პროცესის უწყვეტობას. მონიტორინგის ფარგლებში არ გამოვლენილა ისეთი გარემოება, რომელიც მიუთითებდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის არასაკმარისობაზე ან პროგრამის გაგრძელების ფინანსურ რისკზე. რენტაბელობის ზღვარი 5 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამრიგად, დაწესებულების მიერ პროგრამისთვის განსაზღვრული ფინანსური რესურსი და არსებული ფინანსური დაგეგმვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“, შესაბამისი სასწავლო გეგმებითა და მოდულებით;
- პროგრამის დანართი №26 - საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსი;
- პროგრამის დანართი №27 - მატერიალური რესურსი;
- პროგრამის დანართი №28 - ადამიანური რესურსი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა სწავლებისა და შეფასების მიმართულებით გავლილი ტრენინგების დამადასტურებელი სერტიფიკატები/დოკუმენტები;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ - მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსების ადაპტირების მექანიზმები;
- პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსის ბიბლიოთეკაში მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია პროგრამის შემოსავლები და ხარჯები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსისა და სასწავლო გარემოს ადგილზე დათვალიერების შედეგები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობისა და დატვირთვის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგებ

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.10.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: